

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეუერთდით!

ლელო

№ 223 (4217)

1970 წ. 14 ნოემბერი, შაბათი, ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან.



სულ მალე სომხეთი რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს იზეიმებს.

სომეხი ხალხის ამ დიდ დღესასწაულს მასთან ერთად ყველა მოძმე რესპუბლიკა აღნიშნავს.

ძმური მეგობრობისა და მხურვალე გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობს სომხეთის დღეები საქართველოში.

კეთილი იყოს თქვენი მოგზაურობა, სომეხო ძმებო!

• •

და დაჰკრავს ზარი დიდი ზეიმისა...

ირთვება, ლამაზდება

ლიდი ფუსფუსი და გამოცოცხლებაა ამ დღეებში სომხეთის დედაქალაქ ერევანში. და განა მარტო აქ: სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სომხეთის კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად ამ მოძმე რესპუბლიკის ქალაქები და რაიონები ათასობით სტუმრის მოლოდინში ათასფრად ირთვება და ლამაზდება. განსაკუთრებული მზადება მაინც ერევანშია. მხატვრები, არქიტექტორები, სხვა ერევნელი მშრომელები მონდომებას არ იშურებენ, რათა ამ საზეიმო დღეებში თავიანთი რესპუბლიკის დედაქალაქი ნამდვილ წალკოტად აქციონ.

ჩვენ, სპორტის მუშაკებმა, იქაური კოლეგების თანხლებით მოვიარეთ მთელი ერევანი. ვესტუმრეთ უკვე არსებულ თუ მშენებარე სპორტულ ბაზებს. ბრწყინვალე ნაგებობაა ახალი სტადიონი, რომლის ტერიტორია ბეტონის ვეებერთელა ფიალის მარწუხებშია მოქცეული. ეს ახალი ბაზა 80 ათასი მაყურებლისთვისაა გათვალისწინებული. რესპუბლიკური სტადიონი კი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა, საშუალო სკოლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა განკარგულებაში იყო. სპორტულ კოსტუმებში მორთული ახალგაზრდები საზეიმო სანახაობის ერთ-ერთი ნაწილის — ტანვარჯიშული გამოსვლის ილეთებს ხვეწდნენ. ერევნის ზღვაზე ნიჩბოსნები „დააგელვებდნენ“ თავიანთ „წყლის რაშებს“, სევანის ტბისკენ მიმავალ გზატკეცილზე სპორტსმენები ველოსიპედებზე ამხედრებულიყვნენ.

როცა შეღამდა, უამრავმა ლამპიონმა გაანათა, შადრევნებმა გაალამაზა ქალაქი. დამითაც იგრძნობოდა, რომ სულ მალე დაკრავს ზარი დიდი ზეიმისა.

სწორი გზით

ჩვენმა სომეხმა კოლეგებმა ბევრი მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივი ჩამოგვითვალეს, სადაც კარგად ზრუნავენ ახალგაზრდების ფიზიკური გაკაჟებისთვის, მომავალი ჩემპიონებისა თუ რეკორდსმენების აღზრდისთვის. არჩევანი მაინც ეზმიაძინის რაიონის სასწავლო-საცდელი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივზე შევაჩერეთ.

— რა იყო აქ ამ სამი ათეული წლის წინათ? — კითხვაზე კითხვით გვიპასუხა მეურნეობის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა, პირველთანრიგოსანმა ფეხბურთელმა ე. აკოფიანმა. — ტერიტორია, რომელიც ამჟამად ჩვენ გვეკუთვნის, ეზმიაძინის მონასტრის საძოვრებს ეჭირა, ირგვლივ ტრიალი მინდორი იყო და მეურნეობის იმჟამინდელ მესვეურებს ძნელ პირობებში მოუხდათ საბჭოთა მეურნეობის შექმნა. იმ დროს ადვილი როდი ყოფილა მუშახელის შოვნა და მეურნეობის საქმე მაინდამაინც ვერ მიდიოდა კარგად. 1947 წელს აქ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსულები დასახლდნენ და მათი მონდომებით მეურნეობა მალე ფეხზე დადგა. ახლა ჩვენი საქმეები კარგად მიდის. საშობლოს გვგმის გადაჭარბებით ვაბარებთ ყურძენს, ხილს, ხორცს და სხვა პროდუქტებს. არც მეურნეობის მუშაკები არიან განაწყენებული. მაგრამ ეროი კი ნათლად შეიმჩნეოდა: მათ მაინც ქალაქისკენ ეჭირათ თვალი და ამის გამო დიდი დენადობა იყო ამ სასოფლო-სამეურნეო ობიექტზე. ეს გასაგები გახლდათ. სამუშაოსგან თავისუფალ საათებში ახალგაზრდები დროს უქმად ატარებდნენ. არ იყო კლუბი, კინოთეატრი, სპორტული ბაზები.

და აი, აქაურმა ეწოუზიასტმა, ადგილობრივი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ვ. გუკასიანმა დარაზმა სოფლის მთელი ახალგაზრდობა და დაიწყო სპორტული ბაზების აგება, კლუბის მშენებლობა. სულ მალე საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე გაჩნდა საფეხბურთო მინდორი სარბენი ბილიკებით, ფრენბურთის 2, კალათბურთის 1 მოედანი, კლუბი. შეიქმნა ფიზკულტურული კოლექტივი, რეგულარული მუშაობა დაიწყეს ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის სექციებმა. ბოლოს ახალგაზრდებმა საცურაო აუზის აგების საკითხი დასვეს. ამ საქმესაც მოვაბით თავი. და როგორც ხედავთ, ჩვენი ფიზკულტურელების განკარგულებაში არც თუ ცუდი აუზი გახლავთ.

საერთოდ, სპორტმა უფრო დაკავშირა, დაამეგობრა ჩვენი ახალგაზრდები. ახლა ისინი ქალაქისკენ კი არ გარბიან, პირიქით აქეთ, თავისკენ იზიდავენ ბევრ ქალაქელს.

დირექტორის ნაამბობს ახლა ჩვენ გავაგრძელებთ. ე. აკოფიანს ერთი სიტყვა არ დაუძრავს თავის დამსახურებაზე საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლაში. ეს ჩვენ იქაურმა ახალგაზრდებმა გაგვანდეს. დირექტორი ყოფილა ყველა სპორტული ღონისძიების, ბაზების მშენებლობის ავან-ჩავანი. თავდაპირველად, როცა სპორტულ საქმიანობას მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ საბჭოთა მეურნეობის მუშაკები, აკოფიანი სამშენებლო ბრიგადის წევრებთან ერთად ყოველ დილით გამოდიოდა სავარჯიშოდ. ხან ფეხბურთს თამაშობდა, ხან კალათბურთს, მძლეოსნურ ბილიკზეც ბევრჯერ უნახავთ მორბენალი. დირექტორის მაგალითს ბევრმა მიბაძა და ამან ფიზკულტურული კოლექტივი უფრო შეადულაბა, განამტკიცა. წარმატებამაც არ დააყოვნა. ამ საქმეში პირველი მერცხლები ფეხბურთელები ყოფილან, რომლებიც II საპრიზო ადგილზე გასულან სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში. რესპუბლიკის ჩემპიონები არიან ფრენბურთელი ქალები, ვაჟები, მძლეოსნები. სიამოვნებით დაგვისახელეს შრომასა და სპორტში მოწინავენი: ფრენბურთელები დ. და რ. ხაჩატრიანები, ჯ. გალსტიანი, მძლეოსანი ვ. მანუკიანი, მოჭიდავეები, სოფლის სპორტსმენთა საზოგადოება „სევანის“ რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონები უ. პაროიანი, ჯ. შახბაზიანი და სხვ.

ამჟამადაც საზრუნავი გაუჩნდა დირექტორს. ახალგაზრდებმა მოითხოვეს სპორტული დარბაზის აგება. „თვითონ ვიმუშავებთ, ოღონდ საშენებლო მასალით მოგვამარაგეთო“, — განუცხადეს აკოფიანს.

დირექტორმა დახმარება აღუთქვა. დახმარებას ვამბობთ, თორემ, მეურნეობის თავკაცს მოსკოვიდან უკვე ჩამოუტანია დარბაზის პროექტი და ახლო მომავალში ალბათ ამ ბაზაზე ახალსახლობას იზეიმებს მეურნეობის ახალგაზრდობა.

სტუმართმოყვარე მასპინძლებთან გამოშშვიდობებას ვაპირებდით, რომ მოხუცი მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და, როცა ჩვენი აქ მოსვლის მიზეზი გაიგო, ქებით მოიხსენია ე. აკოფიანი.

— მეც კი ჩამაბა სპორტულ საქმიანობაში. 78 წლის კაცს ცოტა არ იყოს მეუხერხულება სპორტულ ბაზებზე ვარჯიში. სპორტი ბავშვობიდან მიყვარდა, ოღონდ სიჭაბუკის წლებში ვარჯიშის საშუალება არ მქონდა. მე ხომ ერაყში დავიბადე, იქვე დავვაჟკაცდი. 1947 წლიდან ეზმიაძინის მკვიდრი, ამ მეგობრული კოლექტივის წევრი გავხდი.

გაკვირვება რომ შეგვატყო, ერთ პატარა ბიჭუნას ბურთი მოატანინა, კალათბურთის ფარის ქვეშ დადგა და ისე ზუსტად ტყორცნიდა კალათში, გაოცებული დავრჩით. შემდეგ აბელ გოზალიანმა ორჯერ შემოურბინა სტადიონის მძლეოსნურ ბილიკს.

ერევანში დაბრუნების ჟამიც დადგა. დავემშვიდობეთ მასპინძლებს. სპორტულ მოედნებზე კი ახალგაზრდები იკრიბებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად.

— სწორი გზით მიდის ამ კოლექტივის საქმე. ნეტავ ყველგან ასე იყოს, — მითხრა ჩემმა ერევნელმა კოლეგამ და მეც გავიფიქრე: მართლაც, რა კარგი იქნებოდა.

ავტომანქანამ გეზი ერევნისკენ აიღო და ისევ დიდი ზეიმის მომლოდინე დედაქალაქს მივაშურეთ.

ზ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ერევანი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ასეა კვირა-დღეს საბჭოთა მეურნეობის სპორტულ მოედნებზე; ქვემოთ — ველოსიპედისტები სევანის ტბის მიდამოებში.

ა. ეკეკიანის ფოტო.

სიტყვა საქმედ აქციეს

ვარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურელებმა საერთო კრებაზე, რომელიც ამ სამიოდე წლის წინ გაიმართა, ივალდებულეს საკუთარი სახსრებითა და ახალგაზრდობის შრომითი მონაწილეობით აეშენებინათ სპორტული კომპლექსი.

ვარკეთილელთა სიტყვა საქმედ იქცა — ვალდებულება განაღდებულია. მეურნეობის სპორტის მოყვარულებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. ახლა მათს განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სტადიონი, სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი, კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის მოედნები და საჭადაო სარბიელი.

დღეს, 14 საათზე, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის დირექციის, პარტიის, პროფკავშირისა და კომკავშირის კომიტეტების, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს ინიციატივით ეწყობა ამ ბაზების საზეიმო გახსნა. შემდეგ გაიმართება სპორტული და მხატვრული კოლექტივების გამოსვლები.

ჩოხუ გეგეჭკორი ოლიმპიადაზე გაჯილიყო...

◆ ვინიპეგი, 13 ნოემბერი. ტანმოვარჯიშეთა აქ გამართულ საერთაშორისო საჩვენებელ ტურნირში გამარჯვების შემდეგ ლ. ტურიშჩევამ ცალკეულ იარაღებზეც მედლების მდიდარი მოსავალი მოიმკა. გრიზნოელმა სტუდენტმა განსაკუთრებით ბრწყინვალედ იასპარეზა ორძელზე — ორჯერ მიიღო 9,9 ქულა. მან ყველას აჯობა, აგრეთვე, ხტომებში (19,30 ქულა) და დვირზე ვარჯიშში (19,30). თავისუფალ ვარჯიშში გაიმარჯვა ზ. ვორონინამ — 19,50 ქულა. მ. ვორონინმა I-II ადგილები გაიყო რგოლებზე ვარჯიშში (19,45) იაპონელ ტ. ოკიმურასთან. ოკიმურას ბადალი არ ჰყავდა თავისუფალ ვარჯიშში (19,20), ორძელსა (19,30) და ღერძზე (19,50). ბჯენითი ხტომები მოიგო გ. ბოგდანო



გრაციების დავა გრძელდება

მსატვრული ტანმოვარჯიშეთა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჯერ ერთი წელიც არ გასულა, ამ სახეობის მოყვარულები კი უკვე ცდილობენ გამოიცნონ მორიგი პირველობის შედეგები, რომელიც 1971 წელს ქალაქში ჩატარდება. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული ყურადღებით ახალ ტალანტებს აკვირდებიან. სწორედ ამ თვალსაზრისითაა საინტერესო საკავშირო უნიფორმაში გაიმარჯვა თ. ბერდიშევამ, რომელიც ბოლო დრომდე ნაკლებად იყო ცნობილი დიდ სპორტში. ომსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, 23 წლის სპორტსმენი უნივერსიადის ამსოლუტური ჩემპიონი გახდა, ჩამოიტოვა ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიც არიან ლ. სერედა და ნ. ოვჩინიკოვა.

თ. ბერდიშევას ვ. ხუდიაკოვა წვრთნის. ნიჭიერ ტანმოვარჯიშეს მრავალფეროვანი ტექნიკა აქვს. მისი კომპოზიციები ორიგინალური და კონტრასტულია. დიდი სირთულით გამოირჩევა ბერდიშევას ნებისმიერი ვარჯიში. საკმარისია ითქვას, რომ იგი სამ 360-გრადუსიან ბრუნს ასრულებს, რასაც ჯერჯერობით მსოფლიოში ვერც ერთი ტანმოვარჯიშე ვერ ახერხებს. ვფიქრობთ, ბერდიშევას წარმატება მოულოდნელი არ უნდა იყოს. მოგაგონებთ, რომ აქვე, ოსლში გაიზარდა 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონი გ. შუგუროვა (მწვრთნელი გ. ბორენკოვა). ერთი სიტყვით, ომსკი თანდათან იქცევა მსატვრული ტანვარჯიშის ცენტრად, ისევე, როგორც ასტრახანი, დონის როსტოვი, რიაზანი, ადარას ვამბობთ მოსკოვზე, ლენინგრადზე, კიევზე, სვერდლოვსკზე.

შეიძლება თ. ბერდიშევამ ქალების მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ასპარეზობის უფლებაც მოიპოვოს, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. წინაა ბევრი საპასუხისმგებლო შეჯიბრება, რომლებისთვისაც გულმოდგინედ ემზადებიან უძლიერესი საბჭოთა ტანმოვარჯიშეები, ბევრი უმაღლესი რანგის საერთაშორისო შეჯიბრების ჩემპიონები და პრიზიორები: გ. შუგუროვა, ლ. სერედა, ნ. ოვჩინიკოვა, ა. ნაზმუტდინოვა, ე. კარპეზინი, ა. ზასუხინა.

უნდა ითქვას, რომ დღეს იმ სპორტსმენებს, რომლებიც უსაგნოდ ვარჯიშს აძლევენ უპირატესობას (აქ უფრო სრულად ვლინდება ტანმოვარჯიშის ინდივიდუალობა) ძალიან გაუჭირდებათ. ეს ვარჯიში, რომელიც ჩვეულებრივ რამდენადმე უპირატესობას ანიჭებდა საბჭოთა ოსტატებს, ახლა მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამიდან ამოღებულია.

ამ ბოლო ხანს საერთაშორისო მსატვრულ ტანვარჯიშში ამ სახეობის განვითარების პერსპექტივების გამო გაცხოველებული ბრძოლაა გაჩაღებული. ზოგჯერ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს საყვედურობენ, რომ მაღალი ქორეოგრაფიული კულტურის გამო ისინი სპორტული ვარის საზღვრებიდან გამოდიან. ვფიქრობ, რუსული ბალეტის უმდიდრესი ტრადიციები კეთილ გავლენას ახდენენ მსატვრულ ტანვარჯიშზე. რასაკვირველია, საბჭოთა მწვრთნელები, რომლებიც ქორეოგრაფებთან მჭიდრო კავშირში არიან (სხვათა შორის, ეს ქორეოგრაფები კარგად იცნობენ მსატვრული ტანვარჯიშის სპეციფიკას), სულაც არ აპირებენ ტანვარჯიში ბალეტის სახესხვაობად აქცევონ. მაგრამ არტისტულობა, შთაგონება, პლასტიკური გამომსახველობის კლასიკური კანონები არათუ ხელს უშლიან, არამედ განაპირობებენ კიდეც წმინდა სპორტული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. მაგალითად, სსრ კავშირის მსატვრულ ტანმოვარჯიშეთა ეროვნული გუნდის ქორეოგრაფი ფ. მორეული, რომელსაც უმაღლესი ქორეოგრაფიული განათლება აქვს მიღებული, შესანიშნავად იცნობს სპორტს. ეს მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როცა ლატვიელ სპორტსმენთა გუნდისთვის შექმნა ორიგინალური კომპოზიცია სამი სალტითა და სამი ბურთით. საკავშირო ასპარეზობაში ლატვიელებმა ამ სახეობაში I ადგილი დაიკავეს. ბურთი, სალტე, შერწყმული კომპოზიცია — სადაა აქ წმინდა ბალეტი? მსოფლიო მსატვრული ტანვარჯიშის პრაქტიკა საბჭოთა სკოლის მოწინააღმდეგეთა შეცდომას ადასტურებს. დღეს ბევრი ტანმოვარჯიშე იყენებს მზადების დროს ქორეოგრაფიას. იმ ქვეყნებში, სადაც მსატვრული ტანვარჯიში სხვებზე უკეთაა განვითარებული, მაგალითად, ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, უნგრეთში, წვრთნის საფუძველად მთლიანად ტანმოვარჯიშეთა მომზადების საბჭოთა სისტემაა აღებული.

კიდევ ერთი სადავო პუნქტი. იგი ეხება მოძრაობებს, რომლებშიც ეროვნული კოლორიტი იგრძნობა. საერთაშორისო წესები საესებით გამორიცხავს ასეთ ელემენტებს, მაგრამ ბევრ საბჭოთა სპეციალისტს მიაჩნია, რომ სპორტის პროგრამებში ამა თუ იმ ეროვნული ტრადიციისთვის დამახასიათებელი ტრანსფორმირებული ელემენტების გამოყენება ხელს შეუწყობდა მსატვრული ტანვარჯიშის გამომსახველობითი საშუალებათა გამდიდრებას.

მინდა აქ რამდენიმე სიტყვა ვთქვა საბჭოთა სკოლის წარმომადგენლებისთვის უაღრესად სასიამოვნო ერთ ფაქტზე: საერთაშორისო ფედერაციამ ოთხ ქვეყანას დაუბრუნა ქალების მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოემზადებინათ სავალდებულო ვარჯიში ლენტით. ყველა პროგრამის შემოწმების შემდეგ საბჭოთა კომპოზიცია მიიღეს (ავტორი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ე. ობოლენინა).

როცა სამამულო ტანვარჯიშის მიღწევებს იცავენ, საბჭოთა ტანმოვარჯიშეები კონსერვატორები როდი არიან, ისინი იყენებენ ყველა საუკეთესო საშუალებას, რაც [illegible] ტანვარჯიშს დაუგროვდა. ის შეთავაზებულ შეჯიბრებებს [illegible] შიც პოულობს ასახვას (მაგალითად ბურთით, სახტუნელით, სალტით ვარჯიში).

ყოველივე ზემოთქმულის დასასრულს დამეჯიროთებით შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის უმთავრესად ბულგარეთისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის გაჩაღდება. წარმატებით შეიძლება გამოვიდნენ პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, კუბის, განსაკუთრებით კი ჩესოსლოვაკიისა და გდრ-ის სპორტსმენები.

გრაციების დავა გრძელდება. ბუნებრივია, ქალაქში დიდი წარმატების იმედი შეიძლება იქონიონ მხოლოდ იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა, სადაც მსატვრული ტანვარჯიში სპორტის ჭეშმარიტად მასობრივ სახეობად იქცა.

ი. კარტაზოვი.

• • •

სურათზე: გ. შუგუროვა ასპარეზობის დროს.

ჩვენ ამბობენ

ვარჯიშობენ

 მსატვრული ტანვარჯიში ყველაზე ლამაზი, ნატიფი, გრაციოზული სახეობაა და, ვფიქრობ, მარტო მე როდი მიყვარს იგი განსაკუთრებით. მსატვრული ტანვარჯიშის ოსტატთა შეჯიბრებებს მუდამ დიდძალი მაყურებელი ეხსრება. დარწმუნებული ვარ, ბევრი გულშემატკივარი მოუთმენლად ელის მომავალ მსოფლიო პირველობას ამ სახეობაში.

მაგრამ, როგორც გულშემატკივარს, ერთი რამ მაფიქრებს: უძლიერეს მსატვრულ ტანმოვარჯიშეთა შორის ჯერ არ შეგვხვედრია ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის სახელი. მან, ვინც ამ სახეობაში ჩვენს საქალაქო პირველობებს დაწყრება, იცის, რა უინტერესოდ, დუნედ, ერთფეროვნად ტარდება ტურნირები.

რა ხდება? თვითონ მწვრთნელებიც გაოცებული დარჩნენ, როცა წლეულს როსტოვში გამართულ საკავშირო უნივერსიადაში საქართველოს მსატვრულ ტანმოვარჯიშეთა გუნდი V ადგილზე გავიდა, მ. ვიშნიაკოვა კი 20 უძლიერესის რიცხვშიც მოხვდა და შეკრებაზე ჩერკასში მიიწვიეს. ესე იგი, რეზერვიც გვყოლია და შესაძლებლობებიც გვქონია.

ამ შეკითხვებზე პირველი პასუხი მივიღეთ მწვრთნელთა თათბირზე, რომელიც მსატვრული ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ, მწვრთნელმა ნ. სალუქვაძემ მოიწვია, თუმცა რამდენი აქტუალური საკითხი დგას სპორტსმენთა წინაშე, რამდენი პრობლემაა განსახილველი. მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, ყველა მწვრთნელმა თათბირზე მოსვლაც კი არ ჩათვალა საჭიროდ. რაღა დაინტერესებაზე და მონდომებაზე შეიძლება ლაპარაკი?

თუმცა ტანმოვარჯიშეთა პროგრამა ძირითადად ინდივიდუალურ გამოსვლებს ეურდნობა, სპორტის ეს სახეობა, როგორც ყველა დანარჩენი, სწორედ კოლექტიურობითაა ძლიერი. ასპარეზობაში წარმატების მოპოვება მხოლოდ მეგობრულ, მტკიცედ შეკავშირებულ კოლექტივს შეუძლია. მაგრამ რა კოლექტიურობის გრძნობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მწვრთნელებიც კი არ ცდილობენ ერთმანეთთან დაკავშირებას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. ასეთი მწვრთნელი გუნდში კოლექტიურ სულისკვეთებას ვერ გაამეფებს, სპორტსმენთა შორის მეგობრულ გრძნობებს ვერ გააღვივებს.

ეს გარემოება შეიძლება ხვა მხრივაც განაპირობებს მსატვრული ტანვარჯიშის ჩამორჩენას. ტანმოვარჯიშეებს საწვრთნელი ვარჯიშისთვის საჭირო ბაზები არა აქვთ, მაგრამ ეს ამბავი ცოტა ვინმეს თუ აფიქრებს. მაგალითად, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეებს, ახალგაზრდა, ძალიან ენერგიული, ნიჭიერი ტანმოვარჯიშე და მწვრთნელი ა. ტიუკავა ამეცადინებს. მაგრამ მარტო ერთი ადამიანის ენთუზიაზმი ძალიან ცოტაა საიმისოდ, რომ მსატვრულმა ტანვარჯიშმა ღირსეული ადგილი დაიკავოს თუნდაც ინსტიტუტშიც კი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დარბაზებში ამ სახეობის წარმომადგენლებისთვის დრო არ გამოჰყვეს. ყოველი საწვრთნელი მეცადინეობის დროს ხან მოვიდავეებს უნდა გამოსთხოვონ ადგილი სავარჯიშოდ, ხანაც სხვებს...

ბოლომდე და ასე შეუპოვრად ბრძოლის უნარი ყველა მწვრთნელს როდი ჰყოფნის. ამიტომ მსატვრული ტანმოვარჯიშეები სპორტულ ტანვარჯიშში გადადიან. ცნობილი სპორტსმენები და მწვრთნელები, მაგალითად, ნ. ხერხეულიძე, დ. ადაშკოვა და სხვები ძალებული არიან საუკარელი სახეობა მიატოვონ და ახლა სპორტულ ტანმოვარჯიშეებს წვრთნიან. აქ მათ კარგი პირობები აქვთ შექმნილი მუშაობისთვის...

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ? მთავარია დავეხმაროთ მსატვრულ ტანმოვარჯიშეთა გუნდს, მივცეთ მათ ადგილი და დრო წვრთნისთვის, სერიოზული ყურადღება მივაქციოთ. ჩვენს რესპუბლიკაში ნიჭიერი, მოხდენილი, გრაციოზული გოგონების მოძებნა არ გაგვიჭირდება. უნდა დავეხმაროთ მათ, რათა დიდ სპორტში გაიკაფონ გზა.

ვ. ქინჭლაძე.

რატომ ჩამოვრჩებით?

ჩვენ ამბობენ

რეპორტიორები

ნორჩ ტანმოვარჯიშეთა სკოლა

ვიტებსკი. ხალხის ცენტრში მწყობრში ჩადგა ახალი შენობა, სადაც სპორტული ტანვარჯიშის სპეციალიზებული სბავშვო-სკოლა მოთავსდება. სკოლას სათავეში უდგას სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. დმიტრიევი. აქ 250 ნორჩი ტანმოვარჯიშე იმეცადინებს.

ახალ ბაზას აქვს ტანვარჯიშული დარბაზი უახლესი მოწყობილობით, მწვრთნელებისა და ექიმის ოთახები, მეთოდური კაბინეტი, გასახდელები, ხაშხაეები.

ფადრაკი ტელევიზიით

სარატოვი. ბლიც-ტურნირი, რომელიც სარატოველმა მოჭადრაკეებმა საერთაშორისო დიდოსტატის ნ. კროგიუსის მეთაურობით სარატოველ ტელემაყურებლებთან მოაწყვეს, ყაიმით დამთავრდა.

ტელესტუდიიდან დადგეს სადემონსტრაციო დაფა. ოსტატთა ყოველ სვლაზე მოყვარულები ტელეფონით უპასუხებდნენ. მატჩის არბიტრი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. ზასაროვი პირველი სამი წინადადებიდან საუკეთესო სვლას ირჩევდა და ფიგურას გადაადგილებდა. ოსტატებიცა და ზასაროვიც მაყურებლებს უხსნიდნენ, სახელდობრ რატომ აირჩიეს ესა თუ ის წინადადება.

ყოველი მეოთხე სვლის შემდეგ პაუზა ეწყობოდა. ოსტატები მაყურებლებს ესაუბრებოდნენ ჭადრაკის ისტორიის საკითხებზე. ბუნებრივია, სარატოველ მოყვარულებს განსაკუთრებით აინტერესებდათ საშონათშორისო ტურნირის ამბები. მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკის მწვრთნელმა ნ. კროგიუსმა ტელემაყურებლებს უამბო სპასკისა და ამერიკელი დიდოსტატის ფიშერის შეხვედრაზე.

ამ უჩვეულო შეჯიბრებაში ათასობით ჭადრაკის მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა.

„ურალეის“ სასახლეები

ყიროვსკი. მწყობრში ჩადგა ამ მხარეში მესამე სასოფლო სპორტის სასახლე. პირველი ორი უკვე მუშაობს პოკროვკასა და პოგორანინინში. იქვე განლაგებულია კეთილმოწყობილი სტადიონები. ასეთივე სპორტული კომპლექსების აგება განზრახულია ამ მხარის ყველა დიდ სასოფლო-სამეურნეო ცენტრში.

ბოლო წლებში მხარის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ფიზკულტურა სულ უფრო პოპულარული ხდება, რასაც „ურალეის“ სპორტული ბაზების გაუჯობესება განაპირობებს. ახლა ყველა სოფელს აქვს სპორტული ქალაქები და ფეხბურთის მინდვრები.

ერთი ინსტიტუტის გაზეთი

ვორონეჟილოგრადი. დიდი, ლამაზი შენობის ორ სართულზე განლაგებულია მძლეოსნური დარბაზი რეზინ-ბიტუმის სარბენი ბილიკით, ტირი, ოთხი დარბაზი ფრენბურთელებისთვის, ტანმოვარჯიშეებისთვის, ძალოსნებისა და მოჭიდავეებისთვის, საჭადრაკო კლუბი, საექიმო კაბინეტები და საშხაპეები. ეს ვორონეჟილოგრადის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის სტუდენტური სპორტული კომპლექსი გახლავთ. იქვე განლაგებულია შვიდი საზაფხულო კომპლექსური მოედანი, შენდება სტადიონი, მალე დაიწყება დახურული საცურაო აუზის მშენებლობა.



ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

● **პრაღა, 12 ნოემბერი.** სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა თავისი ტურნეს ბოლო მატჩი აქ გამართა ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდთან. პირველი ტაიმი საბჭოთა სპორტსმენების აშკარა უპირატესობით დამთავრდა — 9:2. შესვენების შემდეგ მათ ოდნავ მოადუნეს ყურადღება და მასპინძლებს საშუალება მისცეს ანგარიშში სხვაობა შეემცირებინათ. საბოლოოდ გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 10:7.

● **ბორდო,** 12 ნოემბერი. სსრ კავშირის თასის მფლობელმა — მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა აქ თავისი ევროპული ტურნეს პირველი მატჩი გამართა — ადგილობრივ „ჟირონდას“ შეხვდა. თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1.

● **ვინიპეგი,** 12 ნოემბერი. კანადის ამ ქალაქში გაიმართა ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო საჩვენებელი შეჯიბრება, რომელშიც განსაკუთრებით გამოირჩინა თავი მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა, გროზნოელმა სტუდენტმა, 18 წლის ლ. ტურიშჩევამ. მრავალჭიდში იგი საუკეთესო იყო — 39,05 ქულა. II და III საპრიზო ადგილებზეც საბჭოთა ტანმოვარჯიშეები გავიდნენ: მოსკოველი ზ. ვორონინა (38,25 ქულა) და ასევე მოსკოველი ლ. პეტრიკი (38,1). საბჭოთა ვაჟებმა კვლავ ვერ მოიპოვეს პირველობა. მრავალჭიდში (შეჯიბრება მხოლოდ ნებისმიერი პროგრამით გაიმართა) ყველას აჯობა მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონმა, იაპონელმა სტუდენტმა, 22 წლის ტ. ოკამურამ — 57,50 ქულა. II ადგილი დაიკავა მოსკოველმა მ. ვორონინმა — 57,05 ქულა. III ადგილზეა იაპონელი ხ. მიკი — 56,80. ვერც გამოცდილმა ვ. ლისიცკიმ (მოსკოვის ოლქი) და ვერც ნაკრების დებიუტანტმა გ. ბოგდანოვმა (მოსკოვი) ვერ აუბეს მხარი ვორონინს იაპონიის მეორე გუნდის წევრებთან ბრძოლაში.

● **ძერჟინსკი,** 12 ნოემბერი. აქ დამთავრდა ქალაქ წყალბურთელთა საკავშირო პირველობის ფინალური თამაშები. ასპარეზობდა 8 გუნდი. მოსკოვის „შრომითი რეზერვები“ და „იენოსტი“, ვოლგოგრადისა და ასტრახანის „სპარტაკი“, ტაშკენტის „მეხნატი“, მინსკის „ბურევესტნიკი“, თბილისის „დინამო“ და ლვოვის ბავშვთა სპორტსკოლის კოლექტივი. შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე პირველობა მოსკოვის „იენოსტმა“ გაინაღდა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ლვოველები და მინსკელები.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

XXXII ჩემპიონატის ლაურეატები

სსრ კავშირის პირველობა

სსრ კავშირის 1970 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი დამთავრდა. ჩასატარებელია მხოლოდ ერთი, დამატებითი თამაში მოსკოვის „დინამოსა“ და ცსკა-ს შორის, რომელმაც უნდა გამოავლინოს ჩემპიონი.

როგორც ცნობილია, ყოველი საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთა ცალკეული საუკეთესო მაჩვენებლებისთვის დაწესებულია სპეციალური ჯილდოები. ვაქვეყნებთ XXXII ჩემპიონატის ლაურეატთა სიებს.

გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი

საბჭოთა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის მიერ დაწესებულია გამოჩენილი ფეხბურთელის გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი გუნდისთვის, რომელიც ჩემპიონატის მატჩებში ყველაზე მეტ ბურთს გაიტანს.

პრიზის წლევანდელი მფლობელი გახდა მოსკოვის „დინამო“, რომელმაც 32 მატჩში გაიტანა 50 ბურთი.

ფეხბურთის ფედერაციის პრიზი

პრიზი დაწესებულია სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მიერ იმ კლუბისთვის, რომელიც ძირითადი და სათადარიგო გუნდების ჯამში საუკეთესო შედეგს მიიღწევს.

მოსკოვის დინამოელებმა დააგროვეს 93 ქულა (ძირითადი გუნდი — 45, დუბლიორები — 48) და ჯილდოც დაიმსახურეს.

ოქროს მცირე მედლები

დუბლიორთა ტურნირში გამარჯვებული გუნდის წევრები ყოველწლიურად ჯილდოვდებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სპეციალური პრიზით, ხოლო მოთამაშეები — ოქროს მცირე მედლებით. ამ მედლების მფლობელები წლეულს არიან მოსკოვის „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელები.

აბრეშიულ სტუმარს

უკრაინული ახალგაზრდული გაზეთის „კომსომოლსკოე ზნამიას“ რედაქციას დაწესებული აქვს ჯილდო გუნდისთვის, რომელიც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს მეტოქეთა მინდვრებზე. პრიზი მოიპოვეს მოსკოვის დინამოელებმა, რომლებმაც ხტუმრად 19 ქულა აიღეს.

„სტარტის“ პრიზი

უკრაინული სპორტული ყურნალის „სტარტის“ პრიზი დაწესებულია გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობისთვის.

პრიზი მიიღო ცსკა-მ, რომლის გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა უდრის პლუს 29-ს.

დიდი ანგარიშით მოგებებისთვის

ყოველკვირეულ დამატება „ფუტბოლ-ჰოკეის“ პრიზი დაწესებულია გუნდისთვის, რომელიც ყველაზე მეტ მატჩს მოიგებს დიდი განსხვავებით (3 და მეტი ბურთი).

მოსკოვის „სპარტაკს“ 4 ასეთი გამარჯვება აქვს (მოსკოვის „დინამოსთან“ — 4:1, „შახტიორთან“ — 5:0, „ზენიტთან“ — 3:0 და ორჯონიკიძის „სპარტაკთან“ — 5:1).

მოსკოვისა და თბილისის დინამოელებმა აგრეთვე 4-4 ასეთი გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ მათ ამ მატჩებში გატანილი და მიღებული ბურთების უარესი სხვაობა აქვთ, ამიტომ პრიზი „სპარტაკს“ მიეკუთვნა.

გამარჯვებისადმი სწრაფვისთვის

გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ პრიზი ეძლევა გუნდს, რომელიც თავის სასარგებლოდ დაამთავრებს მატჩს, სადაც თავდაპირველად მეტოქე იყო წინ. ამ პრიზის მფლობელი გახდა დონის როსტოვის არმიელთა გუნდი. როსტოველებმა შეძლეს მოსკოველ „სპარტაკის“ (3:1), „ჩერნომორეცის“ (2:1) და თბილისის „დინამოს“ (2:1) დამარცხება, თუმცა ისინი ამ შეხვედრებს დასაწყისში აგებდნენ.

11 დებიუტანტი

ყურნალი „სმენა“ ყოველწლიურად ადგენს საუკეთესო დებიუტანტებისგან დაკომპლექტებულ გუნდს.

„სმენის“ წლევანდელი ლაურეატები არიან: პილგული (მოსკოვის „დინამო“), ზაგუმენიხი („ზენიტი“), ზვიადგინცევი („შახტიორი“), მირონოვი (ასკ, დონის როსტოვი), ხინჩაგაშვილი (თბილისის „დინამო“), დოლგოვი (ცსკა), უტკინი (მოსკოვის „დინამო“), კურნევი (მინსკის „დინამო“), აბრამოვი (მოსკოვის „ტორპედო“), ონიშჩენკო (კიევის „დინამო“), როდიონოვი („ფაზთაქორი“).

„ოგონიოკის“ პრიზი

ყურნალ „ოგონიოკის“ რედაქცია ყოველწლიურად გამოჰყოფს ხეზონის საუკეთესო მეკარეს და თავისი სპეციალური პრიზით აჯილდოვებს მას.

1970 წლის საუკეთესო მეკარედ „ოგონიოკის“ რედაქციამ მიიჩნია მოსკოვის „ტორპედოს“ კარის დარაჯი ვ. ბანიკოვი.

* * *

მისაკუთვნებელი დარჩა მხოლოდ ერთი პრიზი: „აზახეთის გაზეთ „ლენინსკაია სმენისა“ — „ალმის ღირსებისთვის“, რომელიც მიეკუთვნება გუნდს სსრ კავშირის ნაკრებისთვის ყველაზე მეტი მოთამაშის აღზრდისთვის.

II ჯგუფი

II ზონა

ფინიშზე

გორი. ქალაქის სტადიონი. 12 ნოემბერი.

„დილა“ (გორი) — „ვოლგა“ (გორკი) 1:0 (1:0).

„დილა“: ჩლაიძე, კოზინი, კობიაშვილი, გლავადსკი, ეზუბაია, გელდიაშვილი, ჭეიშვილი, ბურჯანაძე, კაპანაძე, პაპიაშვილი, მაღრაძე.

„ვოლგა“: გლადუშჩენკოვი, ლუკინი, კოსარევი, ეგონკოვი, ვოლოდინი, უშაკოვი (ნეფეიოდოვი), ნიკოლაევი (შჩადრინი), კორტეშინი, ფოკინი, შჩერბაკოვი, ანიკინი.

მსაჯი ბ. ბობროვი (ვორონეჟი).

გორელ ფეხბურთელებს გამოტოვებული ჰქონდათ კალენდარული მატჩი გორკის „ვოლგასთან“, რომელიც მხოლოდ ახლა, ტურნირის დასასრულს ითამაშეს. მატჩს წვიმიანი ამინდი დაესწრო, მინდორი ატალახდა, მაგრამ მასპინძლებმა ყველა რგოლის აქტიური მოქმედების შედეგად შეძლეს უპირატესობის მოპოვება. გორკელები, ეტყობა, არ მოელოდნენ ასეთ დასაწყისს და, სანამ დაცვის ორგანიზებას მოასწრებდნენ, ანგარიში გაიხსნა: „დილის“ თავდამსხმელებმა მე-2 წუთზე გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რომელიც ზუსტი დარტყმით დაამთავრა ბურჯანაძემ.

გორელებს ტაიმის დასასრულამდე წარმატების მოპოვების რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ხელსაყრელი მდგომარეობა ვერც ერთხელ ვერ გამოიყენეს.

შესვენების შემდეგ, პირველივე წუთებზე, მასპინძელთა კარს საფრთხე დაემუქრა, „ვოლგის“ მიერ მარცხენა ფლანგზე წამოწყებული შეტევა დამთავრდა იმით, რომ ნიკოლაევი საგოლე პოზიციაში აღმოჩნდა კარის წინ. მაგრამ ფორვარდმა დაკარგა ეს საუკეთესო მოენტი.

შემდგომში კი ინიციატივას მოლიანად მასპინძლები ფლობდნენ. სტუმრების დაცვამ და განსაკუთრებით მეკარე გლადუშჩენკოვმა თავიანთი გუნდი გადაარჩინეს დიდი ანგარიშით დამარცხებას.

„დილამ“ გამარჯვებით დაამთავრა ეს შეხვედრა და ახლა ბოლო მატჩი აქვს ჩასატარებელი ლენინაკანში.

ბ. გოზალიშვილი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ნებისყოფის სიმტკიცე

ექამდე ნუგზარ ასათიანს მხოლოდ საფარიკაო ბილიუზე ვხედებოდი. არ ვიცი, როგორ აფასებდა იგი ჩვენს ორთაბრძოლებს, მაგრამ პირადად ჩემთვის ეს იყო დაუვიწყარი შეხვედრები. ნუგზარ ასათიანი არც ერთ მოფარიკავეს არა ჰგავს. იგი არასდროს ცდილა ვინმეს დამგვანებოდა. უბრალოდ, ეს იყო თვითმყოფადი სპორტული ნიჭი, რომელმაც საფარიკაო სამყაროში დაამკვიდრა ეგრეთ წოდებული ასათიანის მანერა.

როცა რომელიმე სპორტსმენზე ამბობენ, სპორტული ფორმა დაკარგაო, აქ უმეტესად იგულისხმება, რომ საკუთარი ძალის რწმენა აღარა აქვს. ეს რთული ფსიქოლოგიური მომენტია, რომლისგანაც ხშირად დიდი სპორტსმენებიც არ არიან დაზღვეული. ამ მხრივ ნუგზარ ასათიანი ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს. ნუგზარს მუდამ სჯეროდა საკუთარი ძალისა და, ჩემი აზრით, პირველ ყოვლისა სწორედ ამით იყო ძლიერი.

დავიწიოთ ათი წლით უკან. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ საუკეთესო საბჭოთა ესპადრონისტებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვთ გაჩაღებული რომის ოლიმპიადის წინ. ეს არის უკანასკნელი შესარჩევი შეჯიბრებები. გამარჯვებულთ ოლიმპიადის პირად და გუნდურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მიეცემათ, მაგრამ საამისოდ ბევრი დაბრკოლების გადალახვაა საჭირო. ჯერ კიდევ ახალბედა ნუგზარ ასათიანისთვის ძალიან ძნელია იაკობ რილსკის, დავით ტიმლერის, უმარ მავლიხანოვის, ევგენი ჩერეპოვსკის, ზარკ რაიტასა და ლევ კუზნეცოვის კომპანიაში წარმატების მოპოვება. მით უმეტეს, რომ ფარიკაობა ძალიან ჰგავს, ვთქვათ, ტანვარჯიშსა და ფიგურულ ციგურაობას, სადაც მსაჯთა და სპეციალისტთა ნდობის მოსაპოვებლად, როგორც იტყვიან, ფუთი მარილი უნდა შეჭამო. რა დასამალია, შესარჩევ შეჯიბრებაში ნუგზარი დაუშვეს, როგორც იმედის მომცემი სპორტსმენი, თავისებური სპარინგ-პარტნიორი. მისი წარუმატებლობა არავის გააკვირვებდა.

მაგრამ ნუგზარს არავითარ შემთხვევაში არ აძლევდა ხელს ამ კომპანიაში თავისებური ჰაეროვანი როლის შესრულება. ამაში მას საკუთარი თავის გარდა ოპონენტებიც უნდა დაეწყნარებინა და საბოლოოდ მოხდა ისე, რომ ნუგზარმა მთავარი როლი შეასრულა. მისი პირველი „მსხვერპლი“ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მელბურნის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი კუზნეცოვი. კუზნეცოვის ბედი გაიზიარა რაიტამ. გაშინდელი ახალბედა ბევრისთვის მოულოდნელად ერთბაშად ფავორიტი გახდა. ახლა ნუგზარს განაღდებული ჰქონდა ოლიმპიადის გუნდური ასპარეზობის საგზური და უკვე პირველ სამი ადგილისთვის იბრძოდა. დებულების თანახმად, ოლიმპიადის პირად ტურნირში გამოსვლის უფლება ერთი რომელიმე ქვეყნის სამ საუკეთესო სპორტსმენს ეძლევა, ხოლო გუნდურ ასპარეზობაში ხუთი მოფარიკავე მონაწილეობს.

ისინი ხუთნი დარჩნენ — ნუგზარ ასათიანი და მისი მრისხანე კონკურენტები. ხუთივეს სურდა პირად პირველობაში მონაწილეობა, ადგილი კი სამად-სამი იყო. ასათიანმა, გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ორჯერ დამაჯერებლად გაიმარჯვა ამ ხუთაკიან ტურნირში.

ასეთი რამ მხოლოდ რკინისებური ნებისყოფის ადამიანს შეუძლია. ნუგზარის სპორტული ბიოგრაფია კი მდიდარია მსგავსი შემთხვევებით.

რომის ოლიმპიადიდან დაბრუნებულ ასათიანს კიდევ ერთი გამოცდა ელოდა, ამჯერად — მშობლიურ ქალაქში. სამწუხაროდ, თბილისის ტურნირის წინ, რომელსაც საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი უნდა დაესახელებინა, კვლავ საკმაოდ იყვნენ ურწმუნო თომანი. ისინი ამბობდნენ: ასათიანის წარმატებები შემთხვევითია და ამას მომავალი შეჯიბრებები დაადასტურებსო. ნუგზარმა თასი მოიგო.

იგი მშვიდად ემზადებოდა ახალი გამოცდისთვის — 1961 წლის საკავშირო ჩემპიონატისთვის.

კვლავ გამარჯვება! რა ქნას ერთმა სპორტსმენმა ამაზე მეტი? როგორღა დაარწმუნოს სკეპტიკოსნი თავის სიძლიერეში? ბოლოს და ბოლოს ჟურნალისტები წერდნენ: „ხმლით მოფარიკავეებს იშვიათად ჰყოლიათ ასეთი ღირსეული ჩემპიონი“. ჩვენ ამ სიტყვებს დავუმატებდით: და უფრო მტკიცე ნებისყოფის სპორტსმენი.

ნებისყოფის სიმტკიცე... ამ სიტყვებში იგულისხმება, რომ სპორტსმენი მუდამ იხსნის გუნდს მძიმე წუთებში, არ დრკება ძლიერ მეტოქესთან შეხვედრისას, შეუძლია ბოლომდე იბრძოლოს გამარჯვებისთვის.

ვისაც ნუგზარ ასათიანი სარბიელზე ერთხელ მაინც უნახავს, მან იცის რომ ქართველ მოფარიკავეს ამ თვისებათაგან არც ერთი არ აკლია.

გავიხსენოთ თუნდაც ტოკიოს ოლიმპიადა. საბჭოთა ესპადრონისტების ძლევამოსილი წინსვლა ის-ის იყო იწყებოდა. საბჭოთა საფარიკაო სკოლის პრესტიჟისთვის ყოველ შეხვედრას უდიდესი სპორტული და მორალური მნიშვნელობა ენიჭებოდა, მით უმეტეს, ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში. ამ დიდი ასპარეზობის ფინალში საბჭოთა გუნდი იტალიელებს შეხვდა. უაღრესად პრინციპულ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა, რომელი საფარიკაო სკოლა იყო ყველაზე ძლიერი მსოფლიოში. ადგილი გასაგებია, რომ ასეთ სამატჩო შეხვედრაში ზედმიწევნით ძნელია გამოსვლა. ერთმა მარცხმაც კი შეიძლება მატჩის მსვლელობა შეცვალოს. აი, სად გამოჩნდა ერთხელ კიდევ ნუგზარის რკინისებური ხასიათი. იგი იბრძოდა ისე, როგორც არასდროს. ნუგზარის სიმშვიდე სხვებსაც გადაედო... ასათიანის ყოველი გამოსვლის შემდეგ ანგარიში საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ იზრდებოდა. მისმა „რკინის ხელმა“ წერტილი დაუსვა „საკუნის მატჩს“ — ნუგზარმა გაიმარჯვა დამამთავრებელ შეხვედრაში, რითაც ფარიკაობის ისტორიაში პირველად მოუპოვა მსოფლიოს უძლიერესი გუნდის სახელი საბჭოთა ესპადრონისტებს. მაშინ თქვა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა იაკობ რილსკიმ: „როცა ნუგზარ ასათიანი ჩვენს გუნდშია, მუდამ მშვიდად ვარ“.

ნებისყოფის სიმტკიცე... ვინ იცის, იქნებ ნუგზარს ეს ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალ V სპარტაკიადაში დასჭირდეს. თითქმის ორი წელია, რაც ქართული ფარიკაობის ეს ვარსკვლავი დიდ სპორტს ჩამოშორდა. მაგრამ თანაგუნდელთა დაჟინებული თხოვნით ნუგზარი კვლავ დაუბრუნდა საფარიკაო ბილიკს. მის ხმალს ჯერ ჟანგი არ მოჰკიდებია, კვლავინდებურად ერთგულია თავისი პატრონისა.

ნებისყოფის სიმტკიცე... დიდ სპორტსმენს იგი ცხოვრებაშიც გამოადგა. იქნებ ბევრმა არც იცის, რომ ნუგზარმა იურისტის უაღრესად რთული და კეთილშობილური პროფესია აირჩია. ვეტერანი სპორტსმენი, ახალგაზრდა გამომძიებელი ისე ერთგულად და პირნათლად ემსახურება საყვარელ საქმეს, როგორც ამ მტკიცე ნებისყოფის კაცს შეეფერის.

ა. გოგელია.

* * *

სურათზე: ნ. ასათიანი ვარჯიშის შემდეგ.

ნაკლული ინფორმაცია

ბათუმი

„დინამოს“ აჭარის საოლქო საბჭო ყოველ წელს აწყობს საშეფო სკოლების ნორჩ ფეხბურთელთა ტრადიციულ შეჯიბრებას. წლევანდელი ასეთი ტურნირი კარგად ჩაატარა ბათუმის 1-ლი სკოლის გუნდმა, რომელმაც 8 ქულა შეაგროვა 10 შესაძლებლიდან და I ადგილი დაიკავა. II ადგილზე არიან მე-5 სკოლის ფეხბურთელები.

ო. ფურცვანიძე.

ლაგოდეხი

ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა ტრადიციული საფეხბურთო შეჯიბრება რაიონულ გაზეთ „გამარჯვების დროშის“ თასზე. ტურნირში მონაწილეობდა 16 კოლექტივი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლაგოდეხის საკონსერვო ქარხნისა და რაიკოოპკავშირის გუნდები. საკონსერვო ქარხნის ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:2 და თასიც მოიპოვეს.

ფ. კვირიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის საბჭოთა ნაკრებმა

ნიკოზია 12 ნოემბერი. კიპროსზე მოუთმენლად ელიან სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებს, რომლებიც 15 ნოემბერს ნიკოზიაში ამ კუნძულის ნაკრებთან ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩს გამართავენ. საბჭოთა კავშირის გუნდი პირველადაა კიპროსზე, მაგრამ მის წევრებს აქ კარგად იცნობენ. ადგილობრივი სპორტული პრესის ფურცლებზე ხშირად შეხვდებით ლ. იაშინის, ა. შესტერნიოვის, ი. ნეტოს გვარებს. ეს უკანასკნელი რამდენიმე წლის წინ ნიკოზიის „ომონიის“ ფეხბურთელებს წვრთნიდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა ამ სახელმწიფოში. 1960 წელს კიპროსმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. მაშინ ჩამოყალიბდა ფეხბურთის ფედერაციაც, რომელიც ფიფა-სა და უეფა-ს წევრი გახდა. კიპროსი ამ ფედერაციების მიერ მოწყობილ ყველა საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობს.

კიპროსი ყოველწლიურად ატარებს ფეხბურთელთა პირველობას, რომელშიც „ა“ კლასის 36 გუნდი გამოდის. ისინი სამ ქვეჯგუფად არიან დაყოფილი. პირველობა ოქტომბერში იწყება და მომდევნო წლის მარტში მთავრდება. აპრილიდან ივნისამდე ტარდება შეხვედრები თასზე.

პირველ ქვეჯგუფში სხვებზე ძლიერი გუნდები არიან „ოლიმპიაკოსი“ და „ომონია“ (ნიკოზია), შარშანდელი ჩემპიონი ეპა (ლარნაკა), აელი (ლიმასოლი). სწორედ ეს გუნდები ძალევენ ძირითად შვესებას ქვეყნის ნაკრებს. პირველი ქვეჯგუფის გუნდების უმეტესობას წვრთნიან ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, იუგოსლავიიდან და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სპეციალისტები.

„ა“ კლასის ფეხბურთელთა კლუბები დაახლოებით 1000 კაცს აერთიანებენ. ამას გარდა, კიპროსზე ასამდე სასოფლო გუნდია. მათ შორის ტარდება რეგიონალური პირველობა.

კიპროსის ფეხბურთელთა ნაკრები 1960 წელს ჩამოყალიბდა. ამ გუნდმა 28 საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა როგორც ნაკრები გუნდების დონეზე, ისე სხვა ქვეყნების კლუბებთან. ამ მატჩებში კიპროსის ნაკრებმა ექვსჯერ გაიმარჯვა, 21 შეხვედრა წააგო და ერთი ფრედ დაამთავრა. კიპროსელებს კარგად ახსოვთ მოსკოვის „ტორპედოს“ თამაში, რომელიც მათს ქვეყანაში სტუმრად იყო.

პოპულარული ფეხბურთელები არიან ნახევარმცველი კატოსი, რომელიც 15-ჯერ გამოვიდა სარბიელზე ნაკრების სახელით, ნახევარმცველი კურეასი, რომელიც 13 მატჩში იცავდა ქვეყნის ნაკრების ღირსებას, მეკარე ალკიეადისი, თავდამსხმელები პამბუისი, ვასილიუ და სტილიანუ.

ნაკრების ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 23 წელია.

კიპროსის ფეხბურთს ჯერ არ მოუპოვებია აღიარება საერთაშორისო სარბიელზე, მაგრამ შინ, თავიანთ მინდვრებზე, კიპროსელები მუდამ დაძაბულად, შეუპოვრად იბრძვიან და არც ტემპერამენტიანი მაყურებლების მხარდაჭერა აკლიათ. კიპროსზე ფეხბურთის მინდვრები ბალახით არ არის დაფარული, რაც ძალიან უჩვეულოა აქ სტუმრად ჩამოსული საზღვარგარეთის გუნდებისთვის.

1968 წელს კიპროსელებმა თავიანთ მინდორზე მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში დაამარცხეს შვეიცარიის ნაკრები (2:1). წლეულს გფრ-ის ნაკრებმა მხოლოდ ბოლო წუთზე გაიტანა ერთადერთი გოლი მასპინძლების კარში.

ამჟამად კიპროსის ნაკრებს ამზადებს ინგლისელი მწვრთნელი ჰანდი, რომელიც 50-ან წლებში „მანჩესტერ იუნაიტედში“ და დიდი ბრიტანეთის ნაკრებში გამოდიოდა. იგი ოპტიმისტურად უყურებს კიპროსისა და სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელთა მატჩს. ამ დღეებში ჰანდი ადგილობრივი ტელევიზიით გამოვიდა. მან თქვა: ჩემი გუნდი მოიგებს, თუ ფეხბურთელები შეთანხმებულად, მთელი მოდგომებით ითამაშებენ.

ე. ჩისტიაკოვი.
(საკადესის კორ.).

◆ **ნიკოზია, 13 ნოემბერი.** დღეს აქ ჩამოფრინდა სსრ კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში არიან: მეკარეები — ვ. ბანიკოვი (მოსკოვის „ტორპედო“), ი. პშენიჩნიკოვი (ცსკა), მცველები — რ. ძოძუაშვილი (თბილისის „დინამო“), ა. შესტერნიოვი, ვ. კაპლიჩნი, ი. ისტომინი, მ. პლახუტკო (ყველა — ცსკა), ვ. ივანოვი, ე. ლოვჩევი (ორივე — „სპარტაკი“), ნახევარმცველები — ვ. მუნტიანი (კიევის „დინამო“), ვ. კოლოტოვი (ყაზანის „რუბინი“), ვ. ფედოტოვი (ცსკა), ვ. პაპაევი („სპარტაკი“), თავდამსხმელები — გ. ნოდია (თბილისის „დინამო“), ბ. კოპეიკინი (ცსკა), გ. ევრიუჟიხინი (მოსკოვის „დინამო“), ვ. შევჩენკო („ნივთჩი“), ვ. დუდარენკო (ცსკა).

შესარჩევი მატჩები

„ცუდი“ მასპინძლები

11 ნოემბერს გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

საბჭოთა ნაკრების მომავალმა მეტოქეებმა IV ჯგუფიდან — ესპანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ეროვნულმა გუნდებმა სევილიაში ითამაშეს. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა — ესპანელებმა.

დრეზდენში ერთმანეთს შეხვდნენ გდრ-ისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდები. წარმატება აქაც მასპინძლებს ხვდათ — 1:0.

მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა კიდევ ორი მატჩი: გლაზგოში შოტლანდიელებმა ანგარიშით 1:0 აჯობეს დანიელებს, ხოლო ლიონში — ფრანგებმა — ნორვეგიელებს — 3:0.

კარდიფში ითამაშეს უელსისა და რუმინეთის ნაკრებმა გუნდებმა. ეს შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

როგორც ყოველთვის...

ბოტლანდიის უძლიერესი გუნდების — „სელტიკისა“ და „გლაზგო რეინჯერსის“ შეხვედრას ამ ქვეყნის თასის ფინალში, როგორც ყოველთვის, უდიდესი ინტერესით ელოდნენ. მათი მატჩები მუდამ არნახულ აჟიოტაჟს იწვევს და ხშირად მსხვერპლითაც თავდება.

სტადიონზე მომხდარი უწესრიგობებისთვის პოლიციამ ამჯერად 100 გულშემატკივარი დაპატიმრა.

მატჩის ბედი „გლაზგო რეინჯერსის“ სასარგებლოდ გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. იგი გაიტანა 17 წლის დ. ჯონსტონმა.

მოკლედ

● **რომი.** იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაწესებული სპეციალური ჯილდო „სამართლიანი თამაშისთვის“ გადაეცა ტურინის „იუვენტუსს“.

● **მადრიდი.** „რეალის“ მწვრთნელმა მუნოზმა განაცხადა: „ორი გარემარბი რომ მაყიდინა, 2 წლის შემდეგ ესპანეთის ჩემპიონობას დავიბრუნებდი, 3 წლის შემდეგ კი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასსაც“.

● **ლიმა.** პერუს ფეხბურთის ფედერაცია ეძებს ნაკრების უფროს მწვრთნელს სამშობლოში დაბრუნებული დიდის ნაცვლად. ახლა ნაკრების მესვეურები განიხილავენ გამოჩენილი პერუელი ფეხბურთელის სემინარიოს კანდიდატურას. სემინარიო „ბარსელონაში“ გამოდის და მალე აპირებს თავი დაანებოს თამაშს.

● **დორტმუნდი.** ცნობილ მატადამსხმელმა ჰელმუტ მა, რომელმაც მსოფლიოს ორ უკანასკნელ ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა, განაცხადა, რომ 1971 წლიდან ბელგიის „ბეერშოტში“ გადავა, სადაც უკვე გამოდის მისი ყოფილი პარტნიორი გფრ-ის ნაკრებიდან ემერიჰი.

უიტუმენის სიუსპრიზი

პალმა დე მალიორკის საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირი. მდგომარეობა 3 ტურის შემდეგ: ტ. უიტუმენი (მონლოლეთი) — 3 ქულა, რ. ფიშერი (აშშ) — 2,5, ბ. ლარსენი (დანია), ე. გელერი (სსრ კავშირი), ვ. ულმანი (გდრ) — 2-2.

ისეთ „მარათონულ“ შეჯიბრებაში, როგორიც საზონათშორისო ტურნირია (უნდა გათამაშდეს 23 ტური), დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძალების სწორ განაწილებას. ამიტომ სტარტზე ბევრი დიდოსტატი აყიმით სჯერდება, თუ, რასაკვირველია, ასეთი შედეგი მეტოქესაც ხელს აძლევს. ასე, III ტურში უკვე მე-12 სვლაზე დაზავდნენ ულმანი (გდრ) და რეშევსკი (აშშ); 16 სვლა გაკეთდა ივკოვ (იუგოსლავია) — პოლუგაევსკისა (სსრ კავშირი) და 19 სვლა — ტიმანოვ (სსრ კავშირი) — პანოს (არგენტინა) პარტიაში. აყიმით დასრულდა, აგრეთვე, ჰორტ (ჩეხოსლოვაკია) — ჰიუბნერის (გფრ) და რუბინეტი (არგენტინა) — მატულოვიჩის (იუგოსლავია) შეხვედრები.

მაგრამ ზოგიერთი მოჭადრაკე სტარტიდანვე ფიქრობს ლიდერობის ხელში ჩაგდებას. მათ რიცხვში არიან ფიშერი (აშშ) და ლარსენი (დანია). III ტურში პირველმა 24 სვლაში სძლია თავის თანამემამულე ადისონს, მეორემ გადადო მიხიჩთან (იუგოსლავია) პარტია, რომელიც მომდევნო დღეს აყიმით დასრულდა.

ცნობილ დიდოსტატებს ღირსეულ მეტოქეობას უწევს მონლოლი უიტუმენი, რასაც, რა თქმა უნდა, არავინ მოელოდა. III ტურში მან მოუგო ფილიპინელ ნარანიას. ეს არავის გაკვირვებია, მაგრამ გადადებული პარტიების დამთავრებისას უიტუმენმა ფარ-ხმალი დაყარევინა დიდოსტატ მატულოვიჩს. ეს მოგება და ადრე რეშევსკისთან გამარჯვება მონღოლ მოჭადრაკეს ფავორიტთა შორის აყენებს.

III ტურში კარგად ითამაშა სმისლოვმაც: მას 29 სვლა დასჭირდა ჩეხოსლოვაკიელი ფილიპის დამარცხებისთვის.

სხვა შეხვედრები ამ დღეს არ დამთავრებულა.

გადადებული პარტიების შედეგები: პოლუგაევსკი — მეკინგი (ბრაზილია) 0,5:0,5, გელერი — მეკინგი 1:0, ლარსენი — ხიმენესი (კუბა) 0,5:0,5, მინიჩი — პორტიში (უნგრეთი) 0,5:0,5, გლიგორიჩი (იუგოსლავია) — ულმანი 0:1.

ესტონელთა დამაჯერებელი სტარტი

ბელცი, 12 ნოემბერი. აქ დაიწყო სოფლის საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ჭადრაკში. პირად-გუნდური პირველობის საგზურები მიიღეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის გუნდებმა, რომლებმაც შესარჩევ შეჯიბრებებში გაიმარჯვეს. შესარჩევ ტურნირებში მილიონამდე მოჭადრაკე მონაწილეობდა.

პირველობაში დიდოსტატ ა. ლუტიკოვის („კოლხოზნიკული“, მოლდავეთი), სსრ კავშირის ექსჩემპიონ მ. რანიკუს („იიუდი“, ესტონეთი) და 14 ოსტატის მონაწილეობა სოფლის სპორტსმენთა ოსტატობის ზრდას ცხადყოფს.

პირველ ტურში თავი გამოიჩინა კარგად მომზადებულმა ესტონეთის გუნდმა, რომელმაც ანგარიშით 3,5:0,5 დაამარცხა ყირგიზეთის ნაკრები.

მალე გელციში

21 ნოემბერს მოლდავეთის ქალაქ ბელცში დაიწყება სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა XXX ჩემპიონატის ფინალი. ამ დიდ და მიმზიდველ ტურნირს სხვადასხვა შესარჩევი შეჯიბრება უსწრებდა. ორიოდე დღის წინ სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ დაამტკიცა ფინალის მონაწილეთა სია.

ფინალში ითამაშებენ: საერთაშორისო ოსტატები ა. კუშნირი, ნ. კონოპლიოვა (ორივე — მოსკოვი), ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), ვ. ბორისენკო (ტაშკენტი), მ. რანიკუ, ს. როორტარე (ორივე — ტალინი), ოსტატები ლ. ბელავენეცი, ტ. ზაიცევა, ტ. ლემაჩკო (ყველა — მოსკოვი), ლ. სემიონოვა (ხმელნიცკი), ლ. ლიუბარსკაია (ვოლგოგრადი), გ. ბილუნოვა (მოსკოვის ოლქი), ლ. სტარჩენკო (ალმა-ათა), პირველთანრიგოსნები ც. კახაბრიშვილი, მ. სანაძე (ორივე — თბილისი), ტ. მოროზოვა (ხარკოვი), ე. უშაკოვა (სვეტლოგორსკი), ნ. ალიოხინა (ვორონეჟი), ი. ლევიტინა (ლენინგრადი) და მ. სამული (ტალინი).

ჩემპიონატი ერთ თვეს გასტანს.

პირველი თასი — დ. ბრონშტეინს



სურათზე: დ. ბრონშტეინი.

მოსკოვი, 12 ნოემბერი. **დღეს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშება. დ. ბრონშტეინმა (მოსკოვი) წარმატებით ითამაშა ა. შმიტთან (რიგა) ფინალური მატჩის მეოთხე პარტია. გადამწყვეტ მომენტში მან ჯერ პაიკი მოიგო, შემდეგ — ფიგურა, და 52-ე სვლაზე გაიმარჯვა კიდეც.**

ამრიგად, მოსკოველმა დიდოსტატმა მოიგო მატჩი ანგარიშით 2,5:1,5 და თასის პირველი მფლობელი გახდა.

საინტერესოა, რომ ამ თასის გათამაშება ჭადრაკის საკავშირო ფედერაციამ თვით ბრონშტეინის წინადადებით შემოიღო. თასთან ერთად ბრონშტეინს გადაეცემა ოქროს მედალი, ხოლო შმიტს — ვერცხლის მედალი.

III ადგილისთვის ვ. სავონ (ხარკოვი) — ლ. ალბურტის (ოდესა) მატჩის მეოთხე პარტია აყიმით დამთავრდა. მატჩი მოიგო სავონმა (3:1), მაგრამ ორივე მეტოქე ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

მძლეოსნობა. „ლოკომოტივის“ სტადიონი. თბილისისა და ერევნის განათლების განყოფილებების მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლების აღსაზრდელთა მატჩი. დასაწყისი: 14 ნოემბერს — 16 ს., 15 ნოემბერს — 10 ს. 30 წ.